



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
პრიორიტეტების დოკუმენტი

2024-2027 წლები

შესავალი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება კვლავ დაეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი როგორც ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ერთეული შედის გურიის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 825.1 კვ კმ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2019 წლის მდგომარეობით 18.4 ათასი კაცია. მუნიციპალიტეტში 63 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 2 დაბა და 61 სოფელი. ოთხი დასახლებული პუნქტი სოფელი ზოტი, ქვაბლა, ჩხაკაურა და დაბა ბახმაროს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. აღნიშნულ დასახლებებში ჯამში ცხოვრობს 1865 კაცი.

მუნიციპალიტეტის მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა მინერალური წყალი ნაბელღავი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ. ნაბელღავში ფუქციონირებს ნაბელღავისა და სხვა გამაგრებელი სასმელების მწარმოებელი ქარხანა, რომლის მიერაც მოპოვებული მინერალური რესურსიდან გადახდილი მოსაკრებელი და ქონების გადასახადი მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს კურორტი ბახმარო რომელიც ჰავაც საქვეყნოდ ცნობილია თავისი სამკურნალო თვისებებით. კურორტ ბახმაროს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, რომლის სრულად ათვისების შემთხვევაში შესაძლებელია კურორტი მუნიციპალიტეტის ეკონომიკის მთავარი შემოსავლის წყარო გახდეს.

ბოლო წლების მონაცემებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების მთავარ წყაროს ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელიდან შემოსული თანხები, ქონების გადასახადი და დამატებული ღირებულების გადასახადი, საიდან მინიციპალიტეტებს მიეცემათ დღგ-ს განსაზღვრული წილი.

მუნიციპალიტეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან კაპიტალური პროექტების დაფინანსების მიზნით მიღებული ტრანსფერები, რომლის შედეგადაც ბოლო წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლისა მუნიციპალიტეტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ გვიხდება ნაკლებად ავლწეროთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა და პირდაპირ განვიხილავთ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2023 წლის მონაცემების მიხედვით			
დასახელება	მოსახლეობა	საკუთარი შემოსავლები (ათას ლარებში)	გადასახდელები (ათას ლარებში)
სულ საქართველო	3 713 804,00	10 964 400,00	12 459 500,00
გურიის რეგიონი	113 100,00		
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	18 400,00	13 975,20	211 610,30
პროცენტი საქართველოსთან	0,50	0,13	1,70
პროცენტი რეგიონთან	16,3		

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2024-2027 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2024-2027 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების (კაპიტალური შემოსავლები) პროგნოზის გაანგარიშებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები და ამ შემოსავლის სახეობებში ბოლო წლების არსებული ტენდენციები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2022–2027 წლებში						
დასახელება	ათასი ლარი					
	2022 ფაქტი	2023 გეგმა	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი	2026 პროგნოზი	2027 პროგნოზი
შემოსულობები სულ	27 008,5	21 610,3	16 699,4	18 319,4	19 526,4	21 341,2
შემოსავლები	24 213,3	18 047,8	16 289,4	17 909,4	19 116,4	20 931,2
გადასახადები	8 502,0	9 646,1	11 585,3	12 544,3	13 549,8	14 631,3
დამატებითი ღირებულების გადასახადი	6 089,0	7 346,1	9 185,3	9 944,3	10 749,8	11 631,3
ქონების გადასახადი	2 413,0	2 300,0	2 400,0	2 600,0	2 800,0	3 000,0
გრანტები	13 737,0	6 195,4	178,1	180,0	190,0	200,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	13 737,0	6 195,4	178,1	180,0	190,0	200,0
მიზნობრივი ტრანსფერი	1 013,8	275,0	178,1	180,0	190,0	200,0
მიმდინარე დანიშნულების გრანტები	688,6					
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები	12 034,6	5 920,4				
სხვა შემოსავლები	1 974,3	2 206,3	4 526,0	5 185,1	5 376,6	6 099,9
არაფინანსური აქტივების კლება	174,3	300,0	400,0	400,0	400,0	400,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება)	2 620,9	3 262,5	10,0	10,0	10,0	10,0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვება)						

გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2024-2027 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022-2027 წლების ბალანსი						
დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
შემოსავლები	24 213,3	17 215,4	16 289,4	17 909,4	19 116,4	20 931,2
გადასახადები	8 502,0	7 646,0	11 585,3	12 544,3	13 549,8	14 631,3
გრანტები	13 737,0	8 122,4	178,1	180,0	190,0	200,0
სხვა შემოსავლები	1 974,3	1 447,0	4 526,0	5 185,1	5 376,6	6 099,9
ხარჯები	13 314,1	12 533,3	15 545,2	17 046,4	18 240,4	19 735,2
შრომის ანაზღაურება	6 937,4	5 987,1	9 103,6	9 524,5	9 903,5	10 339,5
საქონელი და მომსახურება	4 584,6	3 846,7	4 664,9	5 595,7	6 281,2	7 248,7
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	41,1	16,9	35,0	41,1	41,1	41,1
სუბსიდიები	237,9	437,2	310,0	326,0	357,0	388,4
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	850,5	609,9	964,4	1 099,0	1 171,0	1 199,4
სხვა ხარჯები	662,6	1 635,5	467,3	460,1	486,6	518,1
საოპერაციო სალდო	10 899,2	4 682,1	744,2	863,0	876,0	1 196,0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	10 174,7	6 993,0	671,2	790,0	803,0	1 123,0
ზრდა	10 349,0	7 253,3	1 071,2	1 190,0	1 203,0	1 523,0
კლება	174,3	260,3	400,0	400,0	400,0	400,0
მთლიანი სალდო	724,5	-2 310,9	73,0	73,0	73,0	73,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	641,6	-2 352,4	-10,0	-10,0	-10,0	-10,0
ზრდა	3 262,5	910,1	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	2 620,9	3 262,5	10,0	10,0	10,0	10,0
ვალუტა და დეპოზიტები	2 620,9	3 262,5	10,0	10,0	10,0	10,0
ვალდებულებების ცვლილება	-82,9	-41,5	-83,0	-83,0	-83,0	-83,0
კლება	82,9	41,5	83,0	83,0	83,0	83,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	82,9	41,5	83,0	83,0	83,0	83,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

2.2 გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 27 369,5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 27 008,5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 98,7 %.

I. შემოსავლები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 24 409,3 ლარი ფაქტიურად 24 213,3 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 99,2 % შეადგინა. გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 8 501,9 ათასი ლარი, გეგმის 8 290,0 ათასი ლარის 102.6 %-ს შეადგენს.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 2 413,0 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმის 2 270,0 ათასი ლარის 106.3 %-ს შეადგენს. ხოლო დამატებითი ღირებულების გადასახადი 6 088,9 ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრულის 6 020,0 ათასი ლარის 101.2 %-ს შედგენს.

II. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 13 737,1 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 13 582,1 ათასი ლარი (101.2 %) მათ შორის: გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 13 048,4 ათასი ლარი; მათ შორის:

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად: 1 013,8 ათასი ლარი;

სპეციალური ტრანსფერი: 1 450,0 ათასი ლარი;

კაპიტალური ტრანსფერი: 10 584,6 ათასი ლარი;

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 688,7 ათასი ლარი;

III. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა შეადგენდა 2 537,2 ათასი ლარი, შესრულება შეადგენს 1 974,3 ათას ლარის მოცულობის, რაც გეგმიური მაჩვენებლის 77,8 %-ს შეადგენს.

ცალკეული სახეების მიხედვით შესრულება შემდეგნაირად გადანაწილდა:

შემოსავლები საკუთრებიდან: 1 656,7 ათასი ლარი; მათ შორის,

- რენტის სახით მობილიზებულია 1 629,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 2 326,8 ათასი ლარი 70,0 %-ია. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1 527,6 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 101,7 ათასი ლარი.

- საქონელისა და მომსახურების რეალიზაცია გეგმით განსაზღვრული იყო 151,0 ათასი ლარი, საკასო შესრულების შედეგად მიღებული გვაქვს 62,8 ათასი ლარი. (41,6 %) მათ შორის:

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულმა 57,5 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 45,1 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 12,4 ათასი ლარი.

- შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 5,3 ათასი ლარი.

- ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 230,7 ათასი ლარი შეადგინა.

- სხვა არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში შეადგენს 24,1 ათას ლარს, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პორგასამტეხლოდან 23,3 ათასი ლარი, ხოლო წინა წელში გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები 0,8 ათასი ლარი.

IV. არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივებიდან მიმდინარე პერიოდში მიღებულია 174,3 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: 54,4 ათასი ლარი მიღებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვიდან, ხოლო მიწის გაყიდვიდან - 119,9 ათასი ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 27 357,3 ათასი ლარი, საკასო ხარჯი შეადგენს 23 746,1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86,8 %-ია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების საკასო ხარჯი შეადგინს 13 314,2 ათას ლარს, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96,2 %-ია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 13 430,0 ათასი ლარით საკასო ხარჯი შეადგინს 10 349,0 ათას ლარს, რაც გეგმიური მაჩვენებლის 77,1 %-ია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

„შრომის ანაზღაურების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 6 975,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 6 937,6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,5 %-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 4 820,5 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 4 584,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 95,1 %-ს შეადგენს.


„პროცენტი“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 41,1 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 41,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 100 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 249,6 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 225,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 90,2 %-ს.


„სოციალური უზრუნველყოფის“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 999,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 849,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 85,0 %-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 757,9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 676,3 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 89,2 %-ს.

2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით



ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში განისაზღვრა, თანდართული ცხრილის შესაბამისად:



სარეზერვო ფონდი

2022 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გეგმიური მაჩვენებელი შეადგენს 152,3 ათას ლარს. ფაქტიურად გახარჯულია 149,2 ათასი ლარი (97,9 %)

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობაზე (წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოება) 6,2 ათასი ლარი;

უკრაინელი ხალხის დასახმარებლად არამალფუჭებადი პროდუქტების, მედიკამენტების და სანიტარულ ჰიგიენური საშუალებების შესაძენად 10,0 ათასი ლარი.

კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისათვის 5,9 ათასი ლარი.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების დახმარება გაეწია 445 ოჯახს 127,1 ლარი.

2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მაჩვენებლები

შემოსულობები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენს 22 202,8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიური შესრულება შეადგენს 17 475,7 ათას ლარს, ანუ გეგმის 78,7 %-ს.

– გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 7 646,0 ათასი ლარი, გეგმის 7 923,9 ათასი ლარის 96,5 % -ია. აღნიშნულ შემოსავლებში 2 150,9 ათასი ლარი მოდის ქონების გადასახადზე, ხოლო 5 495,1 ათასი ლარი გადასახადი საქონელისა და მომსახურებაზე (დამატებული ღირებულების გადასახადი).

– სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტების ფაქტიური მაჩვენებელი განისაზღვრა 8 122,4 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის 11 839,7 ათასი ლარის 68,6 % შეადგენს.

– სხვა შემოსავლების შესრულება შეადგენს გეგმიური მაჩვენებლის 67,6 %-ს (ცხრა თვის გეგმა 2 142,2 ათასი ლარი შესრულება - 1 447,0 ათასი ლარი);

– არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების ფაქტიური შესრულება შეადგენს გეგმის 87,4 %-ს (ცხრა თვის გეგმა 298,0 ათასი ლარი - შესრულება 260,3 ათასი ლარი);

– წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთის გამოყენების გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 3 280,0 ლარს.

გადასახდელები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის გადასახდელების გეგმა შეადგენს 25 482,8 ათას ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2023 წლის სამი კვარტლის მდგომარეობით შეადგინა 19 828,3 ათასი ლარი, გეგმასთან შეფარდებით შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 77,8 %.

– წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 3 584,5 ათასი ლარი გეგმის 94,5 %;

– ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 8 504,4 ათასი ლარი, გეგმის 65,2 % ;


– დასუფთავების და გარემოს დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1 242,1 ათასი ლარი, გეგმის 96,3 %;

– საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 2 537,6 ათასი ლარი, გეგმის 82,0 %;


– სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 2 849,6 ათასი ლარი, გეგმის 94,0 %;

– სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 1 110,0 ათასი ლარი, გეგმის 90,1 %;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დაფინანსება პროცენტულად



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაფინანსება ფუნქციონალურ ჭრილში



სარეზერვო ფონდი

2023 წლის ცხრა თვეში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო 71,2 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 71,0 ათას ლარს. გეგმის 99,7 %.

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

თვითმმართველი ერთეული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2024-2027 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალოვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ჩოხატაურის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები, რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის, ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

2023 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა

კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2024 – 2027 წლების სამულოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლება;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია;
- ❖ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ❖ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება;

ასიგნებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობა (საკუთარი შემოსულობების ფარგლებში)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის დასაფინანსებლად)					
				ათასი ლარი	
პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2024	2025	2026	2027
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	5 430,8	5 974,2	6 315,2	7 036,2
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	1 240,0	1 458,8	1 621,3	1 876,8
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 050,0	2 210,0	2 420,0	2 630,0
04 00	განათლება	2 805,0	3 072,0	3 120,0	3 215,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია	3 480,0	3 759,0	4 069,0	4 504,4
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 693,6	1 845,4	1 980,9	2 078,8
სულ ჯამი		16 699,4	18 319,4	19 526,4	21 341,2

პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის დასაფინანსებლად)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის დასაფინანსებლად)					
				ათასი ლარი	
პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2024	2025	2026	2027
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	5 430,8	5 974,2	6 315,2	7 036,2
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	1 240,0	1 458,8	1 621,3	1 876,8
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 050,0	2 210,0	2 420,0	2 630,0
04 00	განათლება	2 805,0	3 072,0	3 120,0	3 215,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია	3 480,0	3 759,0	4 069,0	4 504,4
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 693,6	1 845,4	1 980,9	2 078,8
სულ ჯამი		16 699,4	18 319,4	19 526,4	21 341,2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პროგრამები და ქვეპროგრამები:

ინფრასტრუქტურის განვითარება 02 00

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1 240,0	1 458,8	1 621,3	1 876,8
02 02	გარე განათება და ელემენტარული	740,0	885,0	990,0	1 195,0
02 02 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	130,0	140,0	150,0	160,0
02 02 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	10,0	15,0	20,0	25,0
02 02 03	გარე განათების ელექტრო ენერჯის ხარჯი	500,0	550,0	600,0	660,0
02 02 04	ჩონჩხური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისათვის	100,0	180,0	220,0	350,0
02 04	საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება	150,0	159,8	178,3	191,8
02 04 01	სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია	50,0	49,8	53,3	61,8
02 04 02	საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია	100,0	110,0	125,0	130,0
02 05	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	100,0	110,0	120,0	130,0
02 08	ზედამხედველობა და ექსპერტიზა	250,0	304,0	333,0	360,0

გარე განათება და ელემენტარული 02 02

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით გარე განათების LED სანათების მოწყობას, ასევე მოძველებული სანათების ახალი სანათებით ჩანაცვლებას. ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. პროგრამით ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების დაფარვა.

პროგრამის მიზანი:

ღამის საათებში მოსახლეობის მ.შ. ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგებით უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისთვის გამართულად ფუნქციონირებს გარე განათების სისტემა და უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების ელ.მომარაგება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია

პროგრამის ინდიკატორი:

სახოლო შედეგი	სახოლო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (სახაზის მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
დამის სათემში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისთვის გამართულად ფუნქციონირებს გარე განათების სისტემა და უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების ელ.მომარაგება	მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიების % სადაც ხელმისაწვდომია გარე განათების სერვისი	64	67	72	75	78	პროცენტული მაჩვენებელი		ჩიხატაურის სერვის უბანი	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელმწიფო პირობების დარღვევა
	თანამედროვე LED სანათების % გარე სანათების საერთო რაოდენობასთან მიმართებით	5%	7%	8%	12%	15%	პროცენტული მაჩვენებელი		ინფრასტრუქტურის სამსახური	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელმწიფო პირობების დარღვევა

გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია 02 02 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში დამის განათების უზრუნველყოფას, რომლის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (სახაზის მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა	გარე განათების ქსელის წერტილების რაოდენობა	7 500	7800	ცალი	10%	ა. (ა)ი.პ. ჩიხატაურის სერვის უბანი	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელმწიფო პირობების დარღვევა
	გარე განათების ქსელის გრძმ	263500	264700	გრძმ/მ	10%	ა. (ა)ი.პ. ჩიხატაურის სერვის უბანი	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელმწიფო პირობების დარღვევა

გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა 02 02 02

ქვეპროგრამის აღწერა:

2024 წელს განხორციელდება გარე განათების ახალი ბოძების, განათების ფარების და ელ. ხაზების მოწყობა(ქსელის გაფართოება).

ქვეპროგრამის მიზანი:

გარე განათების ახალი სანათების მოწყობა და გარე განათებით ახალი გზების მონაკვეთების უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მოწყობილია გარე განათების ახალი წერტილები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
მოწყობილია გარე განათების ახალი წერტილები	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (სახაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	ახალი წერტილების რაოდენობა	25	31	ცალი	10%	ა.ს.ი.პ. ჩოხატაურის სერვის ჯგუფი	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელმწიფო პირობების დარღვევა

გარე განათების და ელექტროენერჯის ხარჯი 02 02 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების (დასახლებულ ერთეულებში) და გარე განათების მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების დაფარვა.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგება	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (სახაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	გარე განათების ელექტროენერჯის ხარჯი	427 600	500 000	ლარი	10%	სს.ენერჯი პრო ჯორჯია	მრიცხველების აღრიცხვა	ელ.ენერჯის ტარიფის ზრდა

ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისათვის 02 02 04

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში თანამედროვე ენერგოეფექტური სანათების მოწყობას. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა გაიმარჯვა ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში პროექტით „ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“. პროექტი გულისხმობს ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელებას და განახლებადი ენერჯის მოხმარების წამახალისებელი პოლიტიკის გატარებას.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა ახალი ენერგო ეფექტური განათების სისტემის შექმნა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილია თანამედროვე ენერგოეფექტური განათება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თანამედროვე ენერგოეფექტური სანათების მოწყობა.	ენერგოეფექტური სანათების რაოდენობა	150	200	ცალი	10%	მუნიციპალიტეტის მერია	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელმწიფო პრობების დარღვევა

საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება 02 04

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურული სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, დაგეგმილია მოსახლეობის დასვენებისა და გართობის მიზნით მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი სკვერების, პარკების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურული სივრცეების მოწყობა;

მოსახლეობისთვის დასვენებისა და გართობის მიმზიდველი გარემოს შექმნა.

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ღია სივრცეები და შენობა-ნაგებობები და შექმნილია პირობები დასვენებისა და მუნიციპალური სერვისების კომფორტულ გარემოში მისაღებად.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

პროგრამის ინდიკატორი:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში რეაბილიტირებულია საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში რეაბილიტირებულია ადმინისტრაციული შენობები	რეაბილიტირებული ობიექტის რაოდენობა	2	5	რაოდენობა	5%	ინფრასტრუქტურის სამსახური	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელმწიფო პრობების დარღვევა

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება 02 05

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

პროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციებით უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

უზრუნველყოფილია ხარისხიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია ხარისხიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება	მიმზადებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობა	165	175	180	185	190	ცალი	1%	ინფრასტრუქტურის სამსახური	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელმწიფო პრობების დარღვევა

ზედამხედველობა და ექსპერტიზა 02 08

პროგრამის აღწერა:

სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სადიებო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება; დამუშავებული პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო სრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადება. შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის დადგენის მიზნით მიმდინარე და დასრულებულ სამუშაოებზე ეტაპობრივი ექსპერტიზის განხორციელება.

პროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციებით უზრუნველყოფა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი.

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

უზრუნველყოფილია ხარისხიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების და ექსპერტიზის განხორციელება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (სახაზის მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნისრივი მაჩვენებელი)	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა შეგროვების შეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია ხარისხიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების და ექსპერტიზის განხორციელება	ობიექტების რაოდენობა, რომლებზეც ხორციელდება საზედამუდველო მონსახურება	0	35	36	38	40	ცალი	1%	ინფრასტრუქტურის სამსახური	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელმწიფო პრობების დარღვევა
	ჩატარებული ექსპერტიზების რაოდენობა	10	15	17	20	21	ცალი	1%	ინფრასტრუქტურის სამსახური	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელმწიფო პრობების დარღვევა

დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა სკვერებში, ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 050,0	2 210,0	2 420,0	2 630,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1 950,0	2 100,0	2 300,0	2 500,0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	100,0	110,0	120,0	130,0

მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება 03 01

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების დეზინფექცია, მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 350 ურნებში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; ქალაქის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 1 ნაგავმზიდი, ხოლო მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებისა და დაბების ტერიტორიიდან გატანას მოემსახურება 2 ნაგავმზიდი. დღეს არსებული სიტუაციით მუნიციპალიტეტში ყოველდღიურად სუფთავდება 42500 კვ.მ ფართობი, რომელსაც ახორციელებს 18 მეეზოვე.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა და მუნიციპალური ნარჩენების მართვა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
დამის ტერიტორიის დასუფთავებული ქუჩების წილი ქუჩების საერთოაოდენობასთან	36%	40%	45%	47%	50%	%	5%	ა(ა)ი.პ ჩოხატაურის სერვის ჯგუფი	მონიტორინგი	ფორსმაჯორი
დასახლებულ პუნქტების %, სადაც უზრუნველყოფილია ნარჩენების გატანა	53%	55%	60%	70%	75%	%	2%	ა(ა)ი.პ ჩოხატაურის სერვის ჯგუფი	მონიტორინგი	ფორსმაჯორი

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა 03 02

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში არსებულ სკვერებსა და პარკებში მცენარეთა ფიტო-სანიტარიული და ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება, მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა. განხორციელდება ახალი ხე-მცენარეების და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. უზრუნველყოფილი იქნება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 4 ერთეული, 8000 კვმ საერთო ფართობის სკვერი, პარკი და ტყე-პარკი. მ.შ. ქალაქის ტერიტორიაზე 3 ერთეული.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მცენარეთა ფიტო-სანიტარიული მდგრადობის შენარჩუნება, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა.

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა	დარღული მრავალწლიანი ნარგავების რაოდენობა	115	200	230	250	300	რაოდენობა	10%	ა(ა)ი.პ ჩოხატაურის სერვის ჯგუფი	მონიტორინგი	ფორსმაჯორი

განათლება 04 00

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელის ხარისხიან და ეფექტურ მომზადებასასკოლო განათლების მისაღებად.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	2 805,0	3 072,0	3 120,0	3 215,0
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	2 650,0	2 900,0	2 930,0	3 000,0
04 02	განათლების სისტემის ხელშეწყობა	130,0	145,0	160,0	180,0
04 03	არაფორმალური განათლების ხელშეწყობა	25,0	27,0	30,0	35,0

სკოლამდელი განათლება 04 01

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 22 საბავშვო ბაღი 568 აღსაზრდელით, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მომავალი“. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 264 თანამშრომელი, მათ შორის 11 კაცი და 253 ქალი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პროგრამით დაგეგმილია სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამასთან პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი აღზრდის წარმატებულ პედაგოგთა შრომის სტიმულირება და წახალისება.

პროგრამის მიზანი:

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისი მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა	დასახლებული ერთეულების რაოდენობა, სადაც ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი	19	20	21	22	23	დასახლება	0%	სკოლამდელი აღზრდის ცენტრი	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
	მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სერვისით მომარგებულ აღსაზრდელთა წილი 6 წლამდე ბავშვთა საერთო რაოდენობაში	52%	55%	59%	62%	67%	ბავშვი	5%	სკოლამდელი აღზრდის ცენტრი	სტატისტიკური	სკოლამდელი აღზრდის მენეჯერის ნაკლებობა
	სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიწოდების ხარვეზი ერთ აღსაზრდელზე	968	1100	1250	1400	1500	ლარი	10%	სკოლამდელი აღზრდის ცენტრი	სტატისტიკური	პანდემია, საგანგებო მდგომარეობა
	აღმზრდელი რაოდენობა ბავშვების საერთო რაოდენობასთან მიმართებით	1/11	1/11	1/11	1/11	1/11	1/11	5%	სკოლამდელი აღზრდის ცენტრი	სტატისტიკური	პანდემია, საგანგებო მდგომარეობა
	სრულად რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების წილი საბავშვო ბაღების საერთო რაოდენობაში	24	45	50	55	60	%	5%	სკოლამდელი აღზრდის ცენტრი	სტატისტიკური	არასაკმარისი ფინანსური რესურსი

განათლების სისტემის ხელშეწყობა 04 02

პროგრამის აღწერა:

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. დაფინანსდება ისეთი აქტივობები, ღონისძიებები და პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების უფრო გააქტიურებას და განათლების პოპულარიზაციას. ასევე, განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსწავლეთა სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების უზრუნველყოფა.

პროგრამის მიზანი:

ზოგადი განათლების ხელშეწყობა მუნიციპალური პროგრამებით.

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ხელშეწყობილია ზოგადი განათლება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი											
საბოლოო შედეგი	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისი მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ხელშეწყობილია ზოგადი განათლება	პროგრამით მომარგებულ მოსწავლეების რაოდენობა	140	170	190	200	220	რაოდენობა	5%	საჯარო სკოლები	შესრულებული სამუშაოს ანგარიში/მოღვაწეობის საბაზისის აქტივობების შედეგები	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა.

არაფორმალური განათლების ხელშეწყობა 04 03

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს საჯარო სკოლებში ოქორსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების დაჯილდოებას შესაბამისად არაუმეტეს 500 და 300 ლარისა. ასევე, დაფინანსდება მედიაპროექტ „ეტალონის“ ფარგლებში „ჩოხატაურის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი კონკურსის ორგანიზება.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ხელშეწყობილია ზოგადი განათლება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი						ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (სახაზის მარჯვენა)	2024 წელი (მიზნობრივი მარჯვენა)	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი					
ხელშეწყობილია არაფორმალური განათლება	დაჯილდოებული მოსწავლეების რაოდენობა	0	50	60	70	75	რაოდენობა	10%	მუნიციპალიტეტის მერია.	მესრულებული სამუშაოს ანგარიშ/მიღება-ჩაბარების აქტივ/გამოყოფის შედეგები	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა.
	კურსში „ჩოხატაურის ეტალონი მოსწავლე“ მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა	70	80	85	90	100	რაოდენობა	10%	მუნიციპალიტეტის მერია.	მესრულებული სამუშაოს ანგარიშ/მიღება-ჩაბარების აქტივ/გამოყოფის შედეგები	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა.

კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია 05 00

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსურად მხარდაჭერილი იქნება წარმატებული სპორტსმენები და შესაბამისი პირობების შექმნით უზრუნველყოფილი იქნება ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	3 480,00	3 759,00	4 069,00	4 504,4
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 125,00	1 185,00	1 265,00	1 373,00
05 01 05	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი	600,0	610,0	660,0	730,0
05 01 06	სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია მშენებლობა	20,0	25,0	30,0	33,0
05 01 07	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი „ჯანი და ღონე“	280,0	300,0	310,0	330,0
05 01 04	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ზახმარო“	225,0	250,0	265,0	280,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2 260,00	2 480,00	2 700,00	3 010,00
05 02 01	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	1 300,0	1 430,0	1 550,0	1 750,0
05 02 09	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება	460,0	500,0	550,0	600,0
05 02 10	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი	500,0	550,0	600,0	660,0
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	55,00	61,00	68,00	80,00
05 03 01	ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა	50,0	55,0	60,0	70,0
05 03 02	საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობა	5,0	6,0	8,0	10,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	10,00	11,00	12,00	13,40
05 05	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	30,00	22,00	24,00	28,00
05 05 01	გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა	20,0	11,0	12,0	14,0
05 05 02	ქალთა ეკონომიკური გაძლიერება	10,0	11,0	12,0	14,0

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 05 01

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდება ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის მიზანი:

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა.

პროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (ახაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების აღზატობა (%)	მიანცემთა წვართ	მიანცემთა მიჯრდების მეთოდი	რისკო
ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები	ღონისძიებებში მინაწილე სპორტსმენების რაოდენობა (კაცი, ქალი)	750 (მათ შორის კაცი 80%, ქალი 20 %)	მათ შორის კაცი 80%, ქალი 20 %	მათ შორის კაცი 75%, ქალი 25 %	მათ შორის კაცი 70%, ქალი 30 %	მათ შორის კაცი 70 %, ქალი 30%	რაოდენობა	5%	ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია	შეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/მიღება/ჩაბარების აქტი	ფორსმაჟორული მდგომარეობა
	სპორტული წრეების ბენეფიციართა რაოდენობა (6-დან 18 წლამდე)	250 (მათ შორის ბიჭი 95 %, გოგო 5%)	260(მათ შორის ბიჭი 92%, გოგო 5%)	260(მათ შორის ბიჭი 92%, გოგო 8%)	270(მათ შორის ბიჭი 90%, გოგო 10%)	280(მათ შორის ბიჭი 70%, გოგო 30%)	რაოდენობა	5%	ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია	შეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/მიღება/ჩაბარების აქტი	სხვა გაუთვალისწინებელი
	ჩატარებული სპორტული ღონისძიების რაოდენობა	45	50	55	60	65	რაოდენობა	10%	ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია	შეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/მიღება/ჩაბარების აქტი	პანდემია

საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია 05 01 05

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, რომელიც ემსახურება მომავალი თაობების პროფესიონალ სპორტსმენებად²⁶ ჩამოყალიბებას, მოეწყობა შეჯიბრებები

სხვადასხვა სახეობებში.

ქვეპროგრამის მიზანი:

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა და ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სპორტულ სკოლებსა და სექციებში გაერთიანებული ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობა. მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენების მონაწილეობას ხელშეწყობა სხვადასხვა რანგის გასვლით სპორტულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

